


რეგისტრირებულია ცვლილებებით
სსიპ "საქართველოს რეგისტრის ეროვნული სააგენტოს"
2014 წლის "11 თებერვალი"
№ 556 დაწვევებით



საქართველოს კომუნისტური პარტიის
წესდება

თბილისი – 2014 წ.

წესდება

1. ზოგადი დებულებები

1.1. „საქართველოს კომუნისტური პარტია“, რომლის შემოკლებული დასახელებაა „სკპ“ (შემდგომში – პარტია) არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთიანება.

1.2. პარტია თავისი პროგრამით და წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას, მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ამ წესდების შესაბამისად. მისი იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

1.3. პარტია წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს ემბლემა, მრგვალი ბეჭედი, სატიტულო ფურცელი და საანგარიშგებო ანგარიშები ბანკში.

1.4. ა) ემბლემა: თეთრ ფონზე შავი ფერით შვიდქიმიან ვარსკვლავში ჩახაზულია წრე, წრეში გადაშლილი წიგნია; წიგნზე მარცხენა გვერდზე დატანილია ურო, ხოლო მარჯვენა გვერდზე ნამგალი; წიგნის მარცხნივ პურის თავთავია; მარჯვნივ ყურძნის მტევანი; წიგნის თავზე ამომავალი მზეა სხივებით; ქვედა მხარეს პატარა ხუთქიმიანი ვარსკვლავი;

ბ) ბეჭედი: მრგვალი. წრიულად წერია საქართველოს კომუნისტური პარტია ქართულ და რუსულ ენაზე, აგრეთვე პარტიის საიდენფიკაციო კოდი. ცენტრში ჩასმულია პარტიის ემბლემა.

გ) სატიტულო ფურცელი: A-4 ტიპის ქაღალდზე თეთრ ფონზე შავი ფერით ზედა მარცხენა მხარეს კუთხეში გამოსახულია პარტიის ემბლემა, ემბლემის გასწვრივ პარტიის სახელწოდება ქართულ და რუსულ ენაზე, რომლის ქვემოთ მოცემულია ნომრის და თარიღის რეკვიზიტები, ხოლო ფურცლის ქვედა ზოლზე მითითებულია პარტიის მისამართი და ტელეფონის ნომერი

1.5. პარტიის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი სანკტ-პეტერბურგის ქ. №9.
საკ. ტელ: 592 11 74 88

2. პარტიის მიზნები (ამოცანები) და მათი განხორციელების ფორმები

2.1. პარტიის მიზანია კანონით დადგენილი წესით:

– სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების გზით მიაღწიოს მოსახლეობის მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას;

– იზრუნოს მშრომელ ადამიანზე და მის კეთილდღეობაზე;

– ხელი შეუწყოს დემოკრატიული საზოგადოების აშენებას, სადაც გამორიცხული იქნება ადამიანის მიერ ადამიანის შრომის შედეგების მითვისება და

სადაც თავისუფალი, პარმონიულად განვითარებული მოქალაქეების ყოველდღიური საზოგადოებრივად სასარგებლ საქმიანობა იქნება მათთვის შინაგანი მოთხოვნილება;

- ხელი შეუწყოს ქვეყნის ერთიანობას, საქართველოს ძლიერებასა და მოქალაქეთა ერთობას;

- ხელს უწყობს ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და კონსოლიდაციას, აღიარებს და მხარს უჭერს ადამიანთა უფლებების დეკლარაციას.

2.2. პარტია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მაღალი იდეურ-ზნეობრივი ნორმებით, კოლექტიურობის, შიდა პარტიული დემოკრატიის, პარტიის წევრთა აქტივობისა და შემოქმედების განუხრელი დაცვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველმხრივი განვითარების პრინციპებით.

2.3. პარტიის იდეოლოგიური საფუძველია მეცნიერული კომუნიზმის კლასიკოსების თეორიული მემკვიდრეობა მის თანამედროვეობასთან დიალექტიკურ კავშირში. ამასთან, პარტია კრიტიკულად განიხილავს წარსულის შეცდომებსა და გადახვევებს, ითვალისწინებს საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე დაგროვილ გამოცდილებას, პრაქტიკით შეუმოწმებელ თეორიულ დებულებებს, შემოქმედებითად აწვითარებს და ამდიდრებს მეცნიერული კომუნიზმის კლასიკურ მოძღვრებას, გადაჭრით ებრძვის დოგმატიზმსა და სქოლასტიკის ყოველგვარ გამოვლინებას.

2.4. პარტია მჭიდრო, საქმიან ურთიერთობას ამყარებს პროგრესული მიმართულების პარტიებთან და საზოგადოებებთან. პარტიის კარი ღიაა ყველა იმ პარტიისა და საზოგადოებისათვის, ვინც გაიზიარებს კომუნისტთა პროგრამას და წესდებას და გამოსთქვამს მასთან შერწყმის სურვილს.

2.5. პარტია თავის მიზნებს ახორციელებს არჩევნების მეშვეობით, აქტიურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიების პოლიტიკურ ბრძოლის ყველა ცნობილ ფორმას, რაც კანონმდებლობით ნებადართულია.

3. პარტიის წევრები, მათი მოვალეობანი და უფლებანი

3.1. საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრი შეიძლება იყოს 18 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ყოველი მოქალაქე, რომელიც აღიარებს პარტიის პროგრამასა და წესდებას. საქმიანობს მის ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფში, ასრულებს პარტიის გადაწყვეტილებებს და რეგულარულად იხდის საწევრო შესატანს.

3.2. დაუშვებელია პარტიის წევრობის შეზღუდვა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3.3. პარტიის წევრი მოვალეა:

ა) მტკიცედ და განუხრელად ახორციელებდეს პარტიის გენერალურ გეზსა და დირექტივებს, ხელს უწყობდეს ხალხთან პარტიის კავშირის განმტკიცებასა და გაფართოებას.

ბ) იყოს სამაგალითო შრომაში, შეუპოვრად იღვწოდეს საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდებისათვის. ცდილობდეს ყოველივე ახლის, პროგრესულის წამოწყებას,

სახალხო მეურნეობაში თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვას, სრულყოფდეს თავის კვალიფიკაციას, შეჰქონდეს მაქსიმალური წვლილი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში, უფროხილდებოდეს და ამრავლებდეს საზოგადოებრივ საკუთრებას, სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების საფუძველს;

გ) აქტიურად მონაწილეობდეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მართვაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მაგალითს იძლეოდეს საზოგადოების წინაშე მოვალეობის შესრულებისას;

დ) ეუფლებოდეს პარტიის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველებს, იმალებდეს იდეურ დონეს, პირად ინტერესებზე მაღლა აყენებდეს საზოგადოებრივ ინტერესებს;

ე) იბრძოდეს შოვინიზმის, ნაციონალიზმის, ბიუროკრატიზმის, პირადულობის, თვითდამშვიდებისა და კუთხურობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ;

ვ) ანვითარებდეს კრიტიკასა და თვითკრიტიკას. მტკიცე წინააღმდეგობას უწევდეს კრიტიკის ჩახშობის ყოველგვარ ცდას;

ზ) განამტკიცებდეს პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ ერთიანობას, იფარავდეს პარტიას მის რიგებში უღირს ადამიანთა შეღწევისაგან, იჩენდეს სიფხიზლეს;

თ) განუხრელად ატარებდეს პარტიის გეზს პარტიული კადრების შერჩევაში, მათი პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების მიხედვით;

ი) იცავდეს პარტიულ დისციპლინას, რომელიც თანაბრად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის. პარტიას ერთი დისციპლინა და ერთი კანონი აქვს ყველა წევრისათვის, მიუხედავად ღვაწლისა და დაკავებული პოსტისა.

3.3. პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს პარტიულ ორგანოებში;

ბ) თავისუფლად განიხილავდეს პარტიულ ორგანოების სხდომებზე და პარტიულ პრესაში პოლიტიკის და პრაქტიკული საქმიანობის საკითხებს, შეჰქონდეს წინადადებანი, აშკარად გამოთქვამდეს და იცავდეს თავის აზრს, სანამ პარტია გადაწყვეტილებას მიიღებდეს;

გ) აკრიტიკებდეს პარტიულ ორგანოების სხდომებზე პარტიის ნებისმიერ წევრს. ის პირნი, რომელნიც შემჩნეულნი იქნებიან კრიტიკის ჩახშობაში, კრიტიკისათვის დევნაში, მათ მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, თვით საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხვამდე;

დ) პირადად მონაწილეობდეს პარტიული ორგანოების სხდომებში, როცა განიხილავდენ მისი საქმიანობისა და ქცევის საკითხს.

ე) მიმართავდეს შეკითხვებით, განცხადებებითა და წინადადებით ნებისმიერ პარტიულ ინსტანციას და თავის მიმართვაზე არსებით პასუხს მოითხოვდეს;

ვ) პირადი განცხადების საფუძველზე თავისუფლად გავიდეს პარტიის რიგებიდან.

3.4. პარტიის წევრად მიღება ხდება:

ა) ინდივიდუალური წესით წერილობითი განცხადების საფუძველზე. პარტიის წევრის რეკომენდაციით. პარტიაში მიღება ხდება პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების უფლებამოსილი ორგანოების მიერ ან ცენტრალური კომიტეტის

მიერ. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ მას ხმა მისცა დამსწრეთა ნახევარზე მეტმა.

შენიშვნა: ყოფილი სკკპ-ს წევრები, რომელთაც შეუძლიათ წარადგინონ პარტილეთი, პარტიაში მიიღებიან რეკომენდაციების გარეშე, ხოლო იმ წევრების საკითხს, რომელთაც პარტილეთი არ აღმოაჩნდებათ, განიხილავს პარტიის ცენტრალური კომიტეტი პირადი განცხადების წარდგენის შემდეგ.

ბ) ის პირნი, რომლებიც სკკპ-ს გარდა სხვა პარტიებში ყოფილან, პარტიაში მიიღებიან საერთო საფუძველზე, მაგრამ სავალდებულოა, რომ მიღება დაამტკიცოს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

3.5. რეკომენდაციის მიმცემნი პასუხისმგებელი არიან რეკომენდირებულთა პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების დახასიათების ობიექტურობისათვის.

3.6. პარტიის წევრები საწევრო შესატანს იხდიან ყოველთვიურად. პარტიის ის წევრები, რომელთაც ხელმოკლეობის გამო არ შესწევთ უნარი გადაიხადონ საწევრო შესატანი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით თავისუფლდებიან საწევრო შესატანისგან.

3.7. საწესდებო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და სხვა გადაცდომისათვის პარტიის წევრს პასუხი მოეთხოვება და მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს დისციპლინური ზომები: შენიშვნის მიცემა, საყვედურის ან სასტიკი საყვედურის გამოცხადება. პარტიული სასჯელის უმაღლესი ზომაა პარტიიდან გარიცხვა.

3.8. პარტიის წევრის გარიცხვის საკითხს წყვეტს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფები ან ცენტრალური კომიტეტი.

3.9. თუ პარტიის წევრმა ჩაიდინა დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის წესით ისჯება, იგი გაირიცხება პარტიიდან.

3.10. პარტიიდან გარიცხულთა ან სასჯელდადებულთა აპელაციებს განიხილავს ზემდგომი პარტიული ორგანო.

4. პარტიის ორგანიზაციული წყობა, შინაპარტიული დემოკრატია

4.1. პარტიის ორგანიზაციული წყობის სახელმძღვანელო პრინციპია დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელიც ნიშნავს:

- ა) პარტიის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევითობას თავიდან ბოლომდე;
- ბ) პარტიული ორგანოების პერიოდულ ანგარიშებას თავიანთი პარტიული ორგანიზაციებისა და ზემდგომი ორგანოების წინაშე;
- გ) მკაცრ პარტიულ დისციპლინას და უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილებას;

დ) ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა აუცილებელ სავალდებულებას ქვემდგომი ორგანოებისათვის;

ე) პარტიის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფისა და ხელმძღვანელი ორგანოს მუშაობის კოლექტიურობას.

4.2. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფები იქმნება საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით (საქალაქო, რაიონული და ა. შ.).

4.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრალური კომიტეტი.

4.4. სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნის, საქმიანობისა და მართვის საკითხები რეგულირდება დებულების საფუძველზე, რომელიც მტკიცდება ცენტრალური კომიტეტის მიერ.

4.5. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფები არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

5. პარტიის უმაღლესი ორგანოები

5.1. პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო – პარტიის წევრთა ყრილობა არის პარტიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. მორიგ ყრილობებს ცენტრალური კომიტეტი იწვევს ოთხ წელიწადში ერთხელ, ყრილობის ჩატარების თარიღი და დღის წესრიგი ცხადდება არა უგვიანეს ყრილობის მოწვევამდე თვენახევრით ადრე, რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობა მოიწვევა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ან პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების მოთხოვნით, რომელიც აერთიანებს პარტიის წევრთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ერთ მესამედს. რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობის მოწვევის ვადას და წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს ცენტრალური კომიტეტი. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პარტიის წევრთა (წარმომადგენელთა) ნახევარზე მეტი გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

5.2. ყრილობა:

ა) ისმენს და ამტკიცებს ცენტრალური კომიტეტის, პოლიტიბიუროს და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

ბ) განსაზღვრავს პარტიის ხაზს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში;

გ) ირჩევს ცენტრალურ კომიტეტს მინიმუმ 28 წევრის შემადგენლობით, პოლიტიბიუროს მინიმუმ 7 წევრის შემადგენლობით და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას ოთხი წლის ვადით;

დ) იღებს, გადასინჯავს, ცვლის და ამტკიცებს პარტიის პროგრამას და წესდებას, რაზედაც უნდა ეცნობოს უფლებამოსილ მარეგისტრირებელ ორგანოს.

5.3. პარტიის ცენტრალური კომიტეტი არის პარტიის ხელმძღვანელი ორგანო და ყრილობიდან ყრილობამდე ხელმძღვანელობს პარტიისა და პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობას.

5.4. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ექვს თვეში ერთხელ მართავს პლენარულ სხდომას ან საიჭროებისამებრ რიგგარეშეს პოლიტიბიუროს გადაწყვეტილებით.

5.5. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენური სხდომა იხილავს და დებულობს გადაწყვეტილებებს პარტიულ-პოლიტიკურ საკითხებზე, რომლებიც არ შედის ყრილობის კომპეტენციაში. ახორციელებს ხელმძღვანელი პარტიული კადრების შერჩევასა და გადანაწილებას, იღებს გადაწყვეტილებებს სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნის შესახებ და ამტკიცებს მათ დებულებებს. ამტკიცებს პარტიის გაზეთისა და ჟურნალის რედკოლეგიებს. ანაწილებს პარტიის ბიუჯეტის სახსრებს. ცენტრალური კომიტეტის პლენური სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება ცენტრალური/კომიტეტის წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

5.6. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენური სხდომა ირჩევს პარტიის გენერალურ მდივანს და მდივნებს ოთხი წლის ვადით.

5.7 პარტიის პოლიტიკური არის პარტიის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესრულებას, ანხორციელებს პარტიაში მიმდინარე საქმიანობას, კოორდინაციას უწევს სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობას. ანხორციელებს ბიუჯეტის მიზანმიმართულ გამოყენებას.

5.8. პარტიის პოლიტიკური ორ კვირაში ერთხელ მართავს პოლიტიკურს სხდომებს. პოლიტიკურს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება პოლიტიკურს წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

5.9. პარტიის გენერალური მდივანი არის პარტიის ზოგად და სპეციალურ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, წარმართავს პარტიის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საქმიანობას. ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტიკურს მუშაობასა და საქმიანობას. ერთპიროვნულად მოქმედებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, აწარმოებს მოლაპარაკებებს, დებს ხელშეკრულებებს, ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში. გენერალური მდივნის არყოფნის შემთხვევაში მის ყველა ფუნქციას ასრულებს მისი ნდობით აღჭურვილი ერთ-ერთი მდივანი.

5.10. პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისია:

ა) პარტიის სარევიზიო კომისიას 3 წევრის (მათ შორის: თავჯდომარისა და ორი წევრის) შემადგენლობით ირჩევს ყრილობა ოთხი წლის ვადით;

ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი. გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით;

გ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა პარტიის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზია;

დ) კონტროლს უწევს პარტიის საწევრო შესატანის გადახდისა და აღრიცხვის სისწორეს, ხელმძღვანელ და აღმასრულებელ ორგანოებში საქმიანობის დადგენილი წესის დაცვას, პარტიის წევრთა მიერ პარტიული დისციპლინის დაცვას;

ე) პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.

6. პარტიის ქონება და ფინანსები

6.1. პარტიას ქონებას ქმნის:

ა) საწევრო შენატანები;

ბ) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულობები;

გ) კანონით დადგენილ შემთხვევებში – სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები;

დ) პარტიის სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, პარტიის მიერ ლექციების, გამოფენებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობით, რაც პარტიებისათვის კანონით დასაშვებია.

ე) პარტია ვერ მიიღებს ფინანსურ და მატერიალურ შემოწირულობებს სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, ლექციების, სემინარებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობის გარდა.

6.2. ყოველთვიური საწევრო შესატანი პარტიის წევრისათვის განისაზღვრება მისი თვიური შემოსავლის არა ნაკლებ ერთი პროცენტისა, ხოლო უმუშევართათვის – 10 თეთრის ოდენობით;

6.3. გაწევრიანების შესატანი პარტიის წევრისათვის განისაზღვრება მისი თვიური შემოსავლის არანაკლებ ორი პროცენტის ოდენობით;

6.4. პარტიას გააჩნია საკუთარი გაზეთები და ჟურნალები, ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობას.

7. პარტიის საქმიანობის შეწყვეტა

7.1. პარტიის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს რეორგანიზაციის (შერწყმა, შეერთება, გაყოფა) ან თვითლიკვიდაციის საფუძველზე.

7.2. გადაწყვეტილება პარტიის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ მიიღება პარტიის ყრილობის მიერ, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა უმრავლესობა. ყრილობა ქმნის სალიკვიდაციო კომისიას.

7.3. რეორგანიზაციის შემთხვევაში პარტიის ქონების განაწილების საკითხს წვეტს ყრილობა, ხოლო თვითლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას.